

მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემა ადგილობრივი
თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

თამთა ბიბილური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო
მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დიდიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ბიბილური

2018

აბსტრაქტი

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელ ასპექტად მიიჩნევა, აღნიშნული კი განსაკუთრებით რელევანტურია, საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნის კონტექსტში. იმის მიუხედავად, რომ 2015 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმების შედეგად წინა პლანზე იქნა წამოწეული მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა და საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის არა ერთი მექანიზმი, მათი განხორციელების პრაქტიკა და ეფექტურობის ხარისხი, ჯერ კიდევ გამოუკვლეველია, რაც მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს საჯარო მმართველობის პროცესებში დემოკრატიული ღირებულებების უზრუნველყოფის საქმეში.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა, მიზნად ისახავს საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებისა და აღსრულების პრაქტიკის საფუძველზე, თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის შეფასებას და აღნიშნულის მისაღწევად ფოკუსირდება 3 მუნიციპალიტეტზე: ქ. ახალქალაქის, ქ. ზუგდიდისა და ქ. მარნეულის სახით. მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი მოწმდება, როგორც საზოგადოებასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის არსებული თანამშრომლობის დონის შეფასებით ისე, საკანონმდებლო მექანიზმების გამოყენების სიხშირესა და პროცედურული დაბრკოლებების გადალახვის შესაძლებლობებზე დაყდნობით.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ საკვლევ მუნიციპალიტეტებში არსებული განსხვავებული პრაქტიკის მიუხედავად, საერთო სურათი ერთია: მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის

განხორციელების პროცესში, მეტწილად ვერ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას და საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრულ ფორმალურ უფლებად რჩება.

მოქალაქეთა ჩართულობა საშუალებას აძლევს კერძო პირებს, პოზიტიური გავლენა მოახდინონ საჯარო საკითხთა გადაწყვეტის პროცესზე და იმოქმედონ, როგორც დემოკრატიული მმართველობის არსებითმა ელემენტებმა. შესაბამისად, მისი ეფექტური საკანონმდებლო მოწესრიგება და პრაქტიკაში რეალიზაციის გარანტირება გვევლინება, როგორც დღევანდელი რეალობის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოს უზენაესი კანონით გარანტირებული სახალხო ძალაუფლების უზრუნველყოფის საქმეში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოქალაქეთა ჩართულობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, თვითმმართველობის ორგანოები, მუნიციპალიტეტი.

Abstract

Citizen participation in local government has been advocated to be an essential aspect of democratic government, which is especially true in the context of a developing county, like Georgia. Even though, citizen participation has been strongly emphasized by the local governments and several instruments were established by the legislative framework, as a result of essential legislative reform in 2015, their practical application and overall participation level remains to be underexplored, which itself poses to be a significant obstacle for building a democratic and publicly governed society.

The present paper aims to examine the public participation in local government on the basis of current legislative framework and practical applications and in order to achieve the latter, it focuses on 3 main municipalities: city of Akhalkalai, City of Zugdidi and city of Marneuli.

Citizen

Participation is measured by the cooperation between the society and the local government, as well as by the frequency of participatory instruments used and procedural obstacles overcome by the citizens.

Research findings show that, even though citizen participation practices do vary from one municipality to another, overall picture is clear: citizen participation is not fully realized in the practical application and it stays as a right guaranteed by the legislative piece of the paper.

Proper citizen participation allows private individuals to positively influence decision-making process and act as an essential elements of the democratic governance. Therefore, effective legislative regulation and effective practical usage remains as a significant issue for the society trying to ensure peoples power guaranteed by the highest law of the country.

Key terms: Citizen Participation, Local government, local government organs, Municipality.